

დამტკიცებულია ცვლილებებით სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს მიერ
(აკადემიური საბჭოს დადგენილება № 05/01- 351, 17.07.2017)

1. სამაგისტრო პროგრამის სახელწოდება - არქეოლოგია
2. მისანიჭებელი კვალიფიკაცია - არქეოლოგიის მაგისტრი
3. პროგრამის მოცულობა კრედიტებით
120 კრედიტი (ECTS), ხანგრძლივობა - 4 სემესტრი, სემესტრში - 30 კრედიტი;
4. სწავლების ენა - ქართული
5. სამაგისტრო პროგრამის ხელმძღვანელები
 - ჯონი აფაქიძე - ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის პროფესორი
 - ვახტანგ ჯაფარიძე - ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის პროფესორი

6. სამაგისტრო პროგრამაზე დაშვების წინაპირობა

- ჰუმანიტარულ, სოციალურ მეცნიერებათა და მიმართულებათაშორისი დარგების ან სპეციალობების ბაკალავრის აკადემიური ხარისხი;
- საერთო სამაგისტრო გამოცდის ჩაბარება
- შიდა საუნივერსიტეტო გამოცდა სპეციალობაში (სასპეციალიზაციო დისციპლინა - საქართველოს არქეოლოგია).
(საკითხები იხ. http://sou.edu.ge/index.php?lang_id=GEO&sec_id=371&info_id=856)
- უცხო ქვეყნის მოქალაქეები მიიღებიან საერთო სამაგისტრო გამოცდების გარეშე, კანონმდებლობით დადგენილი წესით.

7. პროგრამის მიზანი

საქართველოში არქეოლოგიური მეცნიერება ყოველთვის განსაკუთრებული ყურადღებისა და ზრუნვის საგანი იყო და იგი ამჟერადაც ასეთად რჩება. ამისი ძირითადი მიზეზი ისაა, რომ საქართველო არქეოლოგიური ძეგლებით უაღრესად მდიდარი ქვეყანაა. XX საუკუნის 90-იან წლებში ქვეყანაში შექმნილი მძიმე სოციალ-ეკონომიკური პირობების გამო ამ დარგში შემცირდა სტუდენტების (მათ შორის მაგისტრანტების) რაოდენობა. ეს კი ყოვლად დაუშვებელია, რადგანაც ამჟერად საქართველოში მრავალი უცხოური არქეოლოგიური ექსპედიცია მუშაობს და მათ თანამშრომლობისათვის ადგილზე კარგად მომზადებული და ღირსეული პარტნიორები სჭირდებათ. ამას გარდა, მთავარი ისაა, რომ ჩვენს არქეოლოგებს შეეძლოთ დამოუკიდებელი კვლევა-ძიების წარმოება და არქეოლოგიური გათხრების ხელმძღვანელობა.

სამაგისტრო პროგრამის მიზნები შეესაბამება სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის მისიას, რადგან ორიენტირებულია ეროვნული და ზოგადსაკაცობრიო ღირებულებების დამკვიდრებაზე, საზოგადოების ინტელექტუალური, ზნეობრივი, კულტურული განვითარების ხელშეწყობაზე; ტრადიციისა და ინოვაციის ლოგიკურ შერწყმაზე, სტუდენტის პიროვნულ და პროფესიულ განვითარებაზე ზრუნვაზე; სტუდენტზე ორიენტირებულ სწავლებასა და კონკურენტუნარიანი კადრების მომზადებაზე.

სამაგისტრო პროგრამის მიზანია მოამზადოს ღრმა და სისტემური ცოდნის მქონე სპეციალისტები არქეოლოგიის დარგში, კურსდამთავრებულებმა მიიღონ არა მარტო თეორიული განათლება, არამედ პრაქტიკული გამოცდილება და უნარ-ჩვევები, რაც შესაძლებლობას მისცემს როგორც ხელმძღვანელის მეთვალყურეობის ქვეშ, ასევე დამოუკიდებლად მუშაობის შესაძლებლობას; შეძლონ არქეოლოგიური ძეგლის შესწავლა, კულტურული ფენების ჩახატვა, ძეგლის ფიქსაცია, მოპოვებული მასალის კამერალურ დამუშავება და პუბლიკაციისათვის მომზადება და სამეცნიერო ნაშრომების შექმნა. პროგრამის ერთ-ერთი მიზანია, აგრეთვე, აქცენტების გაკეთება აფხაზეთის რეგიონზე. ამიტომაც პროგრამაში ერთ-ერთ არჩევით საგნად წაიკითხება „ანტიკური ხანის სოხუმის რაიონის დასახლებები“. მაგისტრატურის პროგრამის შემუშავებისას დიდად გამოგვადგა დასავლეთის უნივერსიტეტების გამოცდილება, კერძოდ, გერმანული უნივერსიტეტების გამოცდილება, სადაც პროგრამის

ხელმძღვანელი მრავალი წლის მანძილზე ეწეოდა სამეცნიერო და პედაგოგიურ მოღვაწეობას. ამასთან ჩვენი პროგრამა სრულად მოიცავს არქეოლოგიის ისტორიოგრაფიის, არქეოლოგიური კვლევის მეთოდების, წყაროთმცოდნეობის, არქეოლოგიის საფუძვლებისა თუ სხვა საგნების სწავლებას; ყურადღება დაეთმობა, არქეოლოგიაში დათარიღების საბუნებისმეტყველო მეთოდებისა და საერთოდ არქეოლოგიისა და საბუნებისმეტყველო მეცნიერებების კავშირების წარმოჩენას. ამასთან ამ პროგრამაში სრულადაა წარმოდგენილი ქვის, ბრინჯაოს, ანტიკური და ფეოდალური ხანის არქეოლოგია, მაგრამ აქ მთავარი აქცენტი გადატანილია არა მარტო საქართველოს, არამედ მთლიანად კავკასიის კულტურების შესწავლაზე. ამდენად, სამაგისტრო პროგრამის მიზანს წარმოადგენს სპეციალისტების მომზადება, რომლებიც შეძლებენ სამეცნიერო-აკადემიურ მოღვაწეობას უახლესი ინტერდისციპლინარული და ინტერაქტიური მეთოდების გამოყენებით. პროგრამის მიზნებიდან გამომდინარე იგეგმება სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტში ევროპის წამყვანი არქეოლოგების მოწვევა ლექციებისა და სემინარების ჩასატარებლად. მჭიდრო თანამშროლობა გერმანიის არქეოლოგიის ინსტიტუტთან, ტიუბინგენისა და ბერლინის თავისუფალ უნივერსიტეტებთან. ლექციების წასაკითხად სხვადასხვა პროგრამების ფარგლებში იგეგმება წამყვანი არქეოლოგების მოწვევა გერმანიიდან (პროფ. სვენდ ჰანზენი/ბერლინი, პროფ. ბერნჰარდ ჰენზელი/ბერლინი, დოქტ. ინგო მოტცენბეკერი/ბერლინი), თურქეთიდან (პროფ. ა. გიოსკუნ ოზგიუნელი/ანკარა), ინგლისიდან (პროფ. ანტონი ჰარდინგი/ექსეტერი) და სხვა ქვეყნებიდან. დასავლელ კოლეგებთან ამგვარი თანამშრომლობა უდავოდ ხელს შეუწყობს სასწავლო პროცესის გამდიდრებასა და ზოგ შემთხვევაში თვით სწავლების მეთოდების დახვეწასაც. მაგისტრანტები შეძლებენ გაიარონ მაღალი დონის არქეოლოგიური პრაქტიკა და ნელ-ნელა ისწავლონ თანამედროვე სტანდარტების დონეზე გათხრების წარმოება და მოპოვებული მასალების დამუშავება. შევნიშნავთ, რომ ჩვენი სტუდენტები დასავლელი კოლეგების ხელშეწყობით მონაწილეობენ ტროას (თურქეთი), პიეტრელეს (რუმინეთი), ტახტიფერდასა და არუხლოს საერთაშორისო არქეოლოგიურ ექსპედიციებში, რომლებიც გერმანიის არქეოლოგიის ინსტიტუტის ექსპედიციებს წარმოადგენენ. გვაქვს შესაძლებლობა ამ მიმართულებით მუშაობის გაღრმავებისა და გაფართოებისა. ამ საქმის ერთ-ერთი ხელშეწყობი პირობა შეიძლება ასევე იყოს ამ სამაგისტრო პროგრამის ხელმძღვანელის გერმანიის არქეოლოგიის ინსტიტუტის წევრ-კორესპონდენტად არჩევა.

8. სწავლის შედეგები

ცოდნა და გაცნობიერება - მაგისტრატურის სასწავლო პროგრამის დასრულებისა და სამაგისტრო ნაშრომის დაცვის შედეგად მაგისტრს გააჩნია არქეოლოგიის დარგის ღრმა და სისტემური ცოდნა. კერძოდ, კურსდამათვრებულმა -

- იცის არქეოლოგიის ძირითადი მეთოდები და კონცეფციები, რომლებიც გამოიყენება თანამედროვე არქეოლოგიური კვლევების დროს;
- გაეცნო არქეოლოგიური კვლევების თანამედროვე სტანდარტებს;
- ფლობს თანამედროვე არქეოლოგიური კვლევებისთვის აუცილებელ ტერმინოლოგიურ აპარატს და შეუძლია ოპერირება დამოუკიდებელი კვლევის პროცესში;

- **ერკვევა** არქეოლოგიური კვლევის მეთოდებში;
- **გაეცნო** არქეოლოგიური ძეგლების გათხრის მეთოდულ კაში, რომელსაც იყენებენ არქეოლოგები ველზე მუშაობისას - გათხრა, დაზვერვა, აღწერა, აზომვა, სინჯების შეგროვება, ნაგებობებისა და სამარხების გამოვლენა, განსაზღვრა, პრეპარაცია, ეტიკეტის გაკეთება, დახარისხება, მოპოვებული მასალის ფოტო და გრაფიკული ფიქსაცია, შეფუთვა, დაბინავება, ძეგლის არქივის შექმნა, სამუშაოს წიგნიერად შესრულება, რომელიც დაკავშირებულია საერთოდ სავსელ არქეოლოგიურ კვლევა-ძიებასთან.
- **იცის** კავკასიისა და ანატოლიის ბრინჯაოსა და ადრერკინის ხანის არქეოლოგიური კულტურები;
- **შეექმნა გარკვეული წარმოდგენა** საქართველოს ქალაქების, კერძოდ ანტიკური ქალაქების განვითარების არსზე, მის თავისებურებებსა და მნიშვნელობაზე საქართველოსა და სამხრეთ კავკასიის ქვეყნების ისტორიის შესწავლის პროცესში;
- **იცის** საქართველოს შორეული წარსულის ისტორია; ადრეული ჰომინიდების მიერ ჩვენი ქვეყნის ტერიტორიის საცხოვრებლად ათვისების ეტაპები ქვის ხანაში; მათი კულტურული ევოლუციის საფეხურები;
- **გაეცნო** ქვის დამუშავების ტექნიკას პალეოლითის, მეზოლითის და ნეოლითის ხანაში; გაეცნო ქვის ხანაში ცალკეულ არქეოლოგიურ კულტურებს, მათ დამახასიათებელ ნიშან-თვისებებს და ნათელი წარმოდგენა შეექმნა ქვის ხანის ძეგლების პერიოდიზაცია-ქრონოლოგიაზე.

ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი - მიღებული ცოდნის, კვალიფიკაციისა და კომპეტენციის გამოყენებით კურსდამთავრებულს -

- **შეუძლია** სპეციალური სამეცნიერო ლიტერატურის კითხვა და გააზრება;
- სწავლის პროცესში მიღებული ცოდნისა და კომპეტენციის გამოყენებით მაგისტრს **შეუძლია** კომპლექსური პრობლემების იდენტიფიცირება, ანალიზი და მათი გადაჭრა როგორც ხელმძღვანელის დახმარებით, ასევე დამოუკიდებლად.
- **ფლობს** გათხრების თანამედროვე ტექნიკას;
- **შეუძლია** არქეოლოგიური დაზვერვების ჩატარება და დამოუკიდებელი გათხრების წარმოება არქეოლოგიური ექსპედიციის ერთ-ერთ უბანზე, ასევე ნიველირის კვალიფიცირებულად გამოყენება, ძეგლის ფიქსაცია, ჩახატვა, ფოტოგრაფირება, ძეგლის დათარიღების მიზნით სხვადასხვა ნიმუშების საანალიზოდ მოპოვება, მოპოვებული მასალების დამუშავება, მოწესრიგება, ჩახატვა, მასალების მუზეუმისათვის თუ სპეციალური საცავისათვის გადაცემა და მათი იქ არსებული წესების მიხედვით დაბინავება.
- **შეუძლია** სპეციალიზებულ კონტექსტში გარკვევა, თეორიული ცოდნის პრაქტიკაში გამოყენება და უახლესი მეთოდებისა და მიდგომების გამოყენებით კვლევების დამოუკიდებლად განხორციელება;
- შეუძლია უნარების ადაპტირება და ახალი უნარების გამოყენება ყოველ კონკრეტულ ვითარებაში, ამოცანების გადაწყვეტის ახალი და ორიგინალური გზების მოძიება;
- **შეუძლია** მოპოვებული არქეოლოგიური მასალის ტიპოლოგიური და ქრონოლოგიური კლასიფიკაცია, მათი პარალელების მოძიება.

დასკვნის უნარი - კურსდამთავრებულ შეუძლია არქეოლოგიური ხასიათის რთული და არასრული ინფორმაციის კრიტიკული ანალიზი და მასზე დაყრდნობით არგუმენტირებული მოსაზრებების, დასაბუთებული დასკვნების ჩამოყალიბება; კრიტიკული მიდგომისა და დარგობრივი სფეროს უახლესი მონაცემების გათვალისწინებით ინფორმაციის ინოვაციური სინთეზი.

კომუნიკაციის უნარი - კურსდამთავრებულს შეუძლია თანამედროვე საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიური საშუალებების დახმარებით სამეცნიერო კვლევისთვის შესაბამისი ინფორმაციული წყაროებისა და სამეცნიერო მასალების დამოუკიდებლად მოძიება; წერილობითი და ზეპირი პრეზენტაცია; თანმიმდევრულ და ლოგიკურ არგუმენტებზე დაყრდნობით კორექტულად კამათი აკადემიურ თუ პროფესიულ საზოგადოებასთან ქართულ და ერთ-ერთ უცხოურ ენაზე; აკადემიური პატიოსნების სტანდარტების დაცვა; სხვა მკვლევართა მოსაზრებების გათვალისწინება, ალტერნატიული სამეცნიერო ინფორმაციის მოსმენა და აღქმა.

სწავლის უნარი – შეუძლია უახლესი ინტერდისციპლინარული მეთოდების გამოყენებით კვლევების დამოუკიდებლად დაგეგმვა და დაგეგმილ დროში განხორციელება; აკადემიური პროექტის შემუშავება და მართვა; ახალ სიტუაციაში ადაპტირება, ავტონომიურად და ჯგუფურად მუშაობა; არის დამოუკიდებელი და თვითკრიტიკული სწავლისა და მუშაობის პროცესში; იჩენს ინიციატივასა და პირად პასუხისმგებლობას პროფესიულ პრაქტიკაში.

ღირებულებები - მაგისტრი პატივს სცემს თავის და სხვის დამოკიდებულებას ღირებულებებისადმი; აცნობიერებს სამეცნიერო საქმიანობის ეთიკურ მხარეს და ღირებულებათა შკალას, რომელსაც უნდა ამკვიდრებდეს მეცნიერი საზოგადოებაში; წვლილი შეაქვს ახალი ღირებულებების დამკვიდრებაში.

9. არქეოლოგიის სამაგისტრო პროგრამის სტრუქტურა

#	სასწავლო კურსი/მოდული	კოდი	ECTS	საათების საერთო რაოდენობა		კრედიტების განაწილება სემესტრების მიხედვით				წინაპირობა	ლექტორი
				საკონტაქტო	დამოუკიდებელი	I	II	III	IV		
პროგრამის სავალდებულო სასწავლო კურსები - 54 კრედიტი											
1.	უცხო ენა I (ინგლისური, გერმანული, ფრანგული, რუსული)	ENGL M201 GERM M201 FREN M201 RUS M201	3	35	40	3				წინაპირობის გარეშე	
2.	უცხო ენა II (ინგლისური, გერმანული, ფრანგული, რუსული)	ENGL M202 GERM M202 FREN M202 RUS M202	3	35	40		3			ENGL M201 GERM M201 FREN M201 RUS M201	
3.	უცხო ენა III (ინგლისური, გერმანული, ფრანგული, რუსული)	ENGL M203 GERM M203 FREN M203 RUS M203	3	35	40			3		ENGL M202 GERM M202 FREN M202 RUS M202	
4.	აკადემიური წერა მაგისტრანტებისათვის	ACAD M201	3	35	40	3				წინაპირობის გარეშე	სსუ ასისტენტ პროფესორი ნ.ქეცაია
5.	არქეოლოგია და თანამედროვეობა	ARCH M201	6	50	100	6				წინაპირობის გარეშე	სსუ ასოცირებული პროფესორი მანანა კუპრავა
6.	პალეოლითისა და ნეოლითის ხანის არქეოლოგიის ძირითადი პრობლემები	ARCH M202	6	50	100		6			წინაპირობის გარეშე	ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი მედეა ნიორაძე
7.	არქეოლოგიური კვლევის მეთოდები	ARCH M203	6	50	100	6				წინაპირობის გარეშე	სსუ ასოცირებული პროფესორი რევაზ ხვისტანი
8.	საქართველოში არქეოლოგიური მეცნიერების განვითარების ძირითადი ეტაპები	ARCH M204	6	50	100	6				წინაპირობის გარეშე	სსუ ასოცირებული პროფესორი მანანა კუპრავა
9.	კავკასიისა და ანატოლიის ბრინჯაოსა და ადრერკინის ხანის კულტურები	ARCH M205	6	50	100		6			წინაპირობის გარეშე	სსუ პროფესორი ჯონი ავაქიძე
10.	საქართველოს ანტიკური ხანის ქალაქები	ARCH M206	6	50	100	6				წინაპირობის გარეშე	სსუ პროფესორი ვახტანგ ჯაფარიძე

11.	თანამედროვე ტექნოლოგიები არქეოლოგიაში (არქეოლოგიაში საბუნებისმეტყველო და ტექნიკურ მეცნიერებათა მეთოდების გამოყენება)	ARCH M207	6	50	100		6		წინაპირობის გარეშე	სსუ პროფესორი ვახტანგ ჯაფარიძე	
პროგრამის არჩევითი სასწავლო კურსები- 27 კრედიტი								27			
1.	ძველი და შუა საუკუნეების საქართველოს ისტორიის ძირითადი პრობლემები	ARCH M208	3	35	40				წინაპირობის გარეშე	სსუ პროფესორი ზურაბ პაპასკერი	
2.	ანტიკური ხანის სოხუმის რაიონის დასახლებები	ARCH M209	6	50	100				წინაპირობის გარეშე	სსუ ასოცირებული პროფესორი ნოდარ ბერულავა	
3.	ქრისტიანული არქეოლოგია	ARCH M210	6	50	100				წინაპირობის გარეშე	სსუ პროფესორი ვახტანგ ჯაფარიძე	
4.	ისტორიული იარაღთმცოდნეობა (სამხედრო არქეოლოგია)	ARCH M211	6	50	100				წინაპირობის გარეშე	სსუ ასოცირებული პროფესორი ნოდარ ბერულავა	
5.	ქვის ხანის ადამიანის განსახლება საქართველოსა და კავკასიის ტერიტორიაზე	ARCH M212	3	35	40				წინაპირობის გარეშე	ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი მედეა ნიორაძე	
6.	კავკასიის შუასაუკუნეების საფორტიფიკაციო ნაგებობები: არქიტექტურა და არქეოლოგია. გარე სამყაროს ანალოგიები	ARCH M213	6	50	100				წინაპირობის გარეშე	სსუ პროფესორი ვახტანგ ჯაფარიძე	
7.	საქართველოს ნეოლითი გვიანანტიკური ხანის ანთროპომორფული ქანდაკებები	ARCH M214	3	35	40				წინაპირობის გარეშე	სსუ ასოცირებული პროფესორი რევაზ ხვისტიანი	
8.	სამხრეთ კავკასიის შუა საუკუნეების არქეოლოგია	ARCH M215	3	35	40				წინაპირობის გარეშე	სსუ ასოცირებული პროფესორი რევაზ ხვისტიანი	
პრაქტიკული და სამეცნიერო კომპონენტი - 39 კრედიტი											
1.	სასწავლო-საველე რეჟიოლოგიური პრაქტიკა	ARCH M216	9	150	75		9		I, II, სემ. სასწავლო კურსები	სსუ ასისტენტ პროფესორი ლევან ჭაბაშვილი	
2.	სამაგისტრო ნაშრომი	ARCH M217	30	65	685			30	I, II, III სემ. სასწავლო კურსები		
ს უ ლ - 120 კრედიტი							30	30	30	30	